

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ,, საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის შესახებ”

ა) ზოგადი ინფორმაცია ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ა.ა) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზეზი.

კანონში ცვლილებების მიზეზია საქართველოს კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებები.

ა.ბ) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზანი

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის პროცედურების ცვლილებასთან დაკავშირებით, საჭიროა შეტანილ იქნას ცვლილებები „სურსათის ხარისხის და უვნებლობის შესახებ,, საქართველოს კანონში.

ა.გ) ცვლილებებისა და დამატებების ძირითადი არსი

მოცემული კანონის მიხედვით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციას წესი უნდა განისაზღვროს იუსტიციის და სოფლის მეურნეობის სამინისტროების შეთანხმებით, ხოლო მოცემული ცვლილებათა პაკეტით კი რეგისტრაციის წესი უკვე რეგულირებულია, რაც გამორიცხავს, ზემოთთქმული ორგანოების მიერ მოცემული საკითხის დამატებით მოწესრიგებას.

ბ) ცვლილებებისა და დამატებების ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ცვლილებებისა და დამატებების მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) ცვლილებებისა და დამატებების გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) ცვლილებებისა და დამატებების გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

გ.) ცვლილებებისა და დამატებების მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ცვლილებებისა და დამატებების მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) ცვლილებებისა და დამატებების მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

ცვლილებებისა და დამატებების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) ცვლილებებისა და დამატებების მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

ცვლილებებისა და დამატებების მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ.) ცვლილებებისა და დამატებების მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

და.) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცვლილებებისა და დამატებების შემუშავებაში

ცვლილებებისა და დამატებების შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ცვლილებებისა და დამატებების შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია/დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები - ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.

